საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№61 2020 წლის 10 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიეცეს თანხმობა, მის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონება აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით, შემდეგი პირობებით გადასცეს:

ა) ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. №4-ში №1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 1 კვ. მ ფართი, მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.15.05.063.004) – სს „თიბისი ბანკს“ (ს/ნ: 204854595) ბანკომატის განსათავსებლად, 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყოველთვიური საიჯარო ქირით – 200 (ორასი) ლარად;

ბ) ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. №4-ში №1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 1 კვ. მ ფართი, მასზე წილობრივად დამაგრებული

მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.15.05.063.004) – სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ: 204378869) ბანკომატის განსათავსებლად, 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყოველთვიური საიჯარო ქირით – 200 (ორასი) ლარად;

გ) ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის ნახევარსარდაფის სართულზე არსებული 1 კვ. მ ფართი, მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.03.038.060) და ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. №4-ში №1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 1 კვ. მ ფართი, მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.15.05.063.004) – შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ (ს/ნ: 205130464) სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განსათავსებლად, 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 1 კვ. მ ფართსა და მასზე წილობრივ დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე ყოველთვიური საიჯარო ქირით – 15 (თხუთმეტი) ლარად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**